№ 59 მარტი 15, შაბათი 1886 მარტი 15, შაბათი № 59

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 14 მარტს

რუსეთის мiръ-ში ადგილ-მამული ყოველს თვითეულს სულს კომლისას მიეზომება ხოლმე და მასადამე თვითვეული ცალკე კაცი შაოჯახისა ცალკე მონაწილეა სასოფლო მამულში. მაგრამ არ შეგვიძლიან ამ შემთხვევაში ყურადღება არ მივაქციოთ ერთს განსაკუთრებულს თვისებას რუსეთის мiръ-ისას. იქ თვითვეულის კაცის ცალკე მონაწილეობა სოფლის მამულში არამც თუ მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაცა: ვერავინ ვერ იტყვის უარს წილად ხდომილ მამულის აღებაზედ; ჰსურს, თუ არა ჰსურს, უნდა უსათუოდ აიღოს მამული, რაც და საცა შეხვდება დაყოფვის დროს. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა რუსეთის ერის ერთ-გვარ თვისებაში, რომელმანც ყველასაგან ცნობილი «იურის დღე» («Юрьевъ день») შექმნა და ამ თვისებამ არამც თუ სოფლის მამულში მონაწილეობა მოვალეობათ გახადა, არამედ თითქმის თვითონ ბატონ-ყმობაც კი ნაყოფათ გამოიბა. ეს ადვილად აყრა ერთის ადგილიდამ და გადასვლა მეორე ადგილზედ, რომელიც წელიწადში ერთხელ რუსეთის ერს ჩვეულებათ ჰქონდა, დიდი მავნებელი ჩვეულება იყო, როგორც სახელმწიფოსათვის, ისეც თვითონ საზოგადოებისა და სოფლისათვის,— და აი, ჩვენის ფიქრით, სად უნდა მოინახოს მიზეზი, რომ მამულის აღება სოფელში მოვალეობათაც იქცა რუსეთში, გინდა თუ არა მამულში უნდა იჯდე და აგეთო.

ჩვენში თავის დღეში ეგ არა ყოფილა. ჩვენში არამც თუ ცალკე კაცი, თვით კომლიც ამ მოვალეობისაგან დახსნილი იყო: სურდა აიღებდა მამულს, სურდა არ აიღებდა. შესანიშნავია, რომ ერთხელ მამულზედ ხელ-აღებულს კომლსა ნება არ ერთმეოდა მოსულიყო და თავის სოფლისათვის მამული ეთხოვნა. დღესაც თითქმის ესეა, თუმცა ამ სამართლიანს ჩვეულებას მამულის სივიწროემ და კომლთა გამრავლებამ ზოგან სახე შეუცვალა და ძალ-ღონე მოაკლო.

ჩვენ მაგალითები ვიცით, რომ მამულები დაეყოთ და სხვაგან წასულებისათვის სოფელს ცალკე მამული შეენახოს, ვინიცობაა მოვიდნენ უმამულოდ არ დარჩნენო. ამ სახით სოფლის მამულში მონაწილეობა ჩვენში, ცხადია, მარტო უფლება იყო და არას დროს მოვალეობათ არ ყოფილა. რაკი ესრეა, განსაზღვრას უდიდესის და უმცირესის წილისას თვითვეულ კომლისათვის არც სიმართლე და არც საბუთი აქვს ჩვენში. ამიტომაც საცა კი მამული საკმარისია, ყველგან მიღებულია, კომლმა რამდენიც ჰსურს იმდენი მამული დაიჭიროს, ჰსურს ლიტრიანებში მოიქციოს თავი, ჰსურს ნახევარ ლიტრიანებში, ჰსურს ჩარექიანებში და ამაში დამშლელი და მოდავე არა ჰყავს. რასაკვირველია, ეს არ ითქმის იმ სოფლებზედ, საცა მამული ცოტაა, ვიწროობაა და ყველას უნდა თანასწორი წილი ირგუნოს. აქ ჩვეულება კი არ მოქმედობს, არამედ გაჭირება და ამიტომაც ამ გვარი შემთხვევა ჩვენის დედააზრის შესარყევად არ ივარგებს.

მაშასადამე წინადვე სოფლის განაჩენში მოხსენება მისი, რამოდენაზედ მეტი და რამოდენაზედ ნაკლები მამული არ უნდა ეჭიროს თვითვეულს კომლს არ უნდა შეწუნარებულ იქმნას. ხოლო ეს კი საჭიროა სოფლის ყრილობამ თავის განაჩენს ცალკე სიაც ზედ დაართოს, რომელი კომლი რამდენს მამულს ნდომულობს, თუ ვინიცობაა მამული საკმარისია, თუ არა და რაც ხვდება წილად,—და სად უნდა მიეზომოს. ეს რომ აუცილებელ და უსათუო წესათ დაიდვას, მაშინ სოფლის მამულების დამყოფნი ვერავის დასჩაგვრენ, თავის ნებაზედ არ მიუთითებენ, აი შენ აქ გარგუნეთ მიწაო და ამით სათავეშივე მოწყვეტილ იქნება წყარო იმ სამდურავისა და ჩივილისა, რომელიც დღეს ბევრგან ისმის გლეხ-კაცთა მიერ. მაშინ მამულების დამყოფნი, სოფლის მიერ ამორჩეულნი, მარტო აღმასრულებელნი იქნებოდნენ იმისა, რაც დადგენილია სოფლის კრებისაგან, საცა თვითვეულს კომლს თავისი ხმა აქვს და მაშასადამე შეძლებაც თავისი ინტერესი ასე თუ ისე დაიცას.

ი.

ახალი ამბავი

⁂ კადეტის კორპუსში, როგორც შევიტყეთ, 74 ქართველი ყმაწვილი სწავლობს.

⁂ გამოვიდა ახალი საყმაწვილო წიგნი: «პატარა მოამბე», შედგენილი ალ. მირიანიშვილის-მიერ. ფასი ორი შაურია.

⁂ ქალაქის რწმუნებულს კერძო ვექილს კნ. ჩიქოანს, ქალაქის გამგეობის მინდობილობით, შეუსყიდნია 15 ნაჭერი მიწისა სოფ. ქვემო-ავჭალაში ტფილისში წყლის გასაყვანად. ეს მიწები შემდეგის პირებისა ყოფილა: თავადის ზაალ გურამიშვილისა, ქ—ნი ნიკოლაძისი, კნიაჟნა გურამიშვილისა და ბ-ნის მირზოევისა. ქალაქს ეს ადგილები 12,550 მან. შეუძენია.

⁂ სხვის საკუთრების მოყვარულთ ახალ-გვარი ქურდობა მოუგონიათ. ამას წინად ერთს მესაათესთან, რომელსაც კუკიის ხიდზე აქვს დუქანი, მივა ვიღაც ბატონი და აძლევს საათს გასაკეთებლად, თანა სთხოვს, ვიდრე მაგ საათს გამიკეთებდე, სხვა რომელიმე საათი მომეცით, ვიხმაროო. მესაათე მუშტრისაგან საათს ღებულობს, თავის საათს აძლევს და თან კვიტანციას, რომელშიაც გამოცხადებულია, შენგან საათი მივიღე გასაკეთებლადაო. ორის დღის უკან საათის მომცემი მოდის და გაკეთებულს საათს თხოულობს და როდესაც მესაათე მინათხოვარს საათსა სთხოვს, სწყინს, თავი შეურაცხ-ყოფილად მიაჩნია: მე საათი აქედგან არ წამიღიაო. მესაათე პოლიციაში მივიდა საჩივლელად, მაგრამ აქ უთხრეს სასამართლოში წადიო. (გაზ. ,,Нов. Обоз''.)

⁂ ,,**Кавказъ**''-ს გაუგია, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე უნდათ შემოიღონ და ელექტრონულის სინათლით გაანათონ ვაგონებიო.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ახალი იარმუკა გახსნას მტკვრის ნაპირას, მუხრანის ქუჩის ქვემოდან. ამ საგნის გასარჩევად გუშინ, 14 მარტს დაბარებულნი იყვნენ ამ ალაგის მეპატრონენი.

ნაკვესი

ერთს გურულს ერთი კაცი დაუდგა თურმე და ლანძღვა-თრევა დაუწყო. რაც რამ უშვერი სალანძღავი იყო, სულ უთხრა. როცა ლანძღვაში შეფერხდა, გურულმა ჰკითხა:

ფელეტონი

უცხოეთა შორის

გრევი და მისი შინაური, კერძო ცხოვრება. — მისი სახლობა. — ქალი მისი ალისს და მისი ხასიათი. —დე-ფრეისინე და მისი ბიოგრაფია.—მისი ხელობა.— როგორ გახდა დიპლომატი და თავი როდის იჩინა. — ჰერცოღ პორტლენდი და მისი ქვესკნელის სასახლე.—საარაკე სიმშვენიერე ამ სასახლისა. — ორმოცდა-ათი მილიონი მიწაში ჩაფლულიჩ.

—

როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად წელს ჟიულ გრევის მეორედ ირჩევდნენ, რესპუბლიკის მოწინააღმდეგე გაზეთებმა გამოაცხადეს ზოგიერთი ამბავი მის კერძო ცხოვრებისა, რათა დაენახვებინათ ხალხისთვის მისი «წუწკი და უმსგავსო ცხოვრება». მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ. გამოაშკარებულმა კერძო ცხოვრებამ საფრანგეთის პრეზიდენტისამ დახატა იგი ყოვლად პატივ-საცემ კაცად. დროთა-ვითარებისაგან მაღალს ხარისხს აყვანილი, იგი არ ივიწყებს რაც ყოფილა უწინ, და სცხოვრებს კერძოთ, როგორც კვლავ უცხოვრია.—მამული გრევის იურის დეპარტამენტში აქვს, სოფელს მონ-სუ-ვედრე 'ს. «სრა-სასახლე» მისი წარმოგვიდგენს უბრალო მებატონის სახლს, ამ ზემოხსენებულ სოფელში, სადაც მამა მისსა შარა-გზაზედ «დუქანი» (ტავერნა) ეჭირა. დუქანი ესე ეხლაც არის, ცოტაოდენ შეცვლილი, ახალ სახლის გვერდზედ, აწ სასტუმროთ გადაკეთებულია, თუ ოდესმე სტუმარი ეწვია, სახლის პატრონს. ამა სოფელში გრევის ბევრი «სახლის-კაცები» ჰყავს, რომელთ შორის უბრალო მუშებიც კი ურევია.

ჟიულ გრევის «სახლობას» შეადგენს მისი მეუღლე და ერთად-ერთი ქალი ალისს, რომელიც ამ სამის წლის წინად გაათხოვა და მისცა გამოჩენილს ფინანსისტს და უფრო მდიდარს კაცს, ბ-ნს ვილსონს. თავის კერძო სახლში პრეზიდენტი ძალიან «ჩუმათა» სცხოვრებს, და განა არა ეს გარემოება ცოტაც არის ეთაკილებათ მის მრავალ-გვარ სახლის-კაცთა. მეორე თვისება ამ კაცისა უფრო აწუხებსთ,— გრევის არ უყვარს თვის ნათესავების სამსახურში წინ-წაწევა. საფრანგეთში თვისება ესე ფრიად იშვიათია, და ბევრნი ღირსეულად ვერ აფასებენ ამ შესანიშნავ მხარეს მის ხასიათისას.—ჟიულ გრევის უყვარს მეურნეობა; ნადირობა და მეტადრე ბილიარდის თამაშობა.—მეუღლეს მისსა თითქმის ვერავინა ჰხედავს. ამ მანდილოსანს, პატარაობიდგანვე არავითარი სწავლა არ მიუღია; გარემოება ესე ნებას არ აძლევს თავის ქმრის სტუმრების მიღებისას და ბედმან, რომელმაც ქმარს გაუღიმა, ცოლს კი ვერ მოექცა მოყვრულად, და «ჩრდილში» ცხოვრება დაუნიშნა.—სოფლის მცხოვრებნი თუმც ქალ-ბატონს გრევის ვერა ჰხედევენ, მაგრამ პატარაობიდგანვე კარგად იცნობენ მის ქალს ალისს, რომელიც ძალიან უყვართ, მის კეთილის გულის და მიმზიდავის ხასიათის გამო. ალისსა სიყმაწვილის დროს და შემდეგ თითქმის «ქალობამდინაც» კაცურის ტანისამოსით დადიოდა. ამბობენ, რომ მამას თურმე ძალიან ჰსურდა ვაჟის ყოლა და რადგანაც ვაჟი არ ეყოლა, პატარა ქალს ვაჟურად ჩააცვა, ცოტა არის თვის სურვილი ამით მაინც მოეტყუებინა. პატარა ქალი ისე შეეჩვია კაცურ ტანისამოსს, რომ როცა მოიზარდა და ხალხში გამოვიდა, მაინც კიდევ, ზაფხულობით, როდესაც სოფელში მიდიოდა, კაბას გაიხდიდა ხოლმე და «პიჯაკს» ჩაიცვამდა. ამ ტანისამოსმა ცოტაოდნად «ვაჟურს» მიხვრა-მოხვრას შეაჩვია: თამამი ქცევა, ხმამაღლა ლაპარაკი, და თამბაქოს წევა!! ამ თვისებათა გადამკიდე, იგი მაინც ცნობილია ფრიად პატიოსან და უმანკო ყოფა-ქცევის ქალად. სოფლელებს ხშირად უნახავთ, რომ ალისს უბრალო სოფლის დედა-კაცის კაბით მორთულს თავის მამის მუშებისათვის საუზმე მიჰქონებოდეს კალთითა.

⁂

მეორე გამოჩენილი საფრანგეთის სახელმწიფო კაცი ეხლანდელი მთავარ-მინისტრი დე-ფრეისინე სრულებით შემთხვევით მიეცა დიპლომატიურ კარიერას. ამ თხუთმეტის წლის წინათა, მას აზრათაც არ მოუვიდოდა, რომ მინისტრობამდის მიაღწევდა. წოდება მისი იმედს არ აძლევდა ამ მაღალ ხარისხამდინ მიღწევისას, რადგანაც დე-ფრეისინი არ ეკუთვნოდა, არც ადვოკატთა, არც სამხედრო, არც დიპლომატთა და არც ფინანსთა წრეთა—იგი იყო ინჟინერი, და დიდად დავარჯიშებული თავის ხელობაში. მან დაასრულა პოლიტიკური სკოლა და ხელობათ ამოირჩია გზის კეთება. იმპერიის დროს მან თავი გამოიჩინა, როგორათაც შრომის მოყვარე კაცმა და შეიქნა ინჟინერთა წრეებში ცნობილი, ვითარცა დიდი ნიჭიერი მოხელე და მცოდნე თავის საქმისა. რამდენისამე წლის შემდეგ, მან შეირთო ერთი უმდიდრესი ხომალდის მკეთებელის ბ-ნს ბოსკის ქალი და სუყველა უქადდა სენატორობას, რადგანაც ნაპოლეონმა მოიწონა იგი და საფრანგეთის რკინის გზების უფროსობა უბოძა. ახალ-გაზდა ინჟინერი პოლიტიკაში არ ერეოდა და თავის ხელობას მისდევდა. სედანის ტყვეობამ მოაშორა თავის ხელობას. ხალხთა-დამცველმა მართებლობამ დანიშნა იგი ტარნისა და გარონის პრეფექტად (გუბერნატორად), მაგრამ ამ თანამდებობაში ექვსის კვირის მეტი არა ყოფილა. ქალაქს ტურში მართებლობის განყოფილება რომ გაიმართა, დე-ფრეისინი მის სეკრეტრად გაამწესეს. როდესაც სახელმწიფო კაცი გამბეტა პარიჟიდგან ტურში ჰაერში მატარებლით მოვიდა, და სამხედრო მინისტრობა ჩაიბარა, დე-ფრეისინეს თავის თანა-შემწეს ადგილი მისცა. ნაინჟინერალმა დიდი მხედრობის ნიჭი გამოიჩინა და სახელი განითქვა მთელს ევროპაში. როდესაც ომი გათავდა, იგი დაუბრუნდა თავის ხელობას, მაგრამ ერთხელ ბრძოლის და

— გაათავეო?

— გავათავეო, უთხრა თურმე იმან წყრომით.

— რაც სალანძღავი იყო, სულ შენა სთქვი: აღარა დაგრჩა-რა. «მეც, რაცა ხარ, იგი შემიგინებიხარო».

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ვანათი. მარტის 10-ს. ვანათი მდებარეობს პატარა ლიახვის პირზედ, დაბა ცხინვალიდგან რვა ვერსის მანძილზედ, გარეშემო შემოზღუდულია კავკაზიონის მთის შტოებით, რომელნიც ამშვენებენ მის მდებარეობას. ბუნებისაგან ნიადაგი ამ სოფლისა საკმაოდ დასაჩუქრებულია, იგი მსუქანი და ნაყოფიერია; თუმცა აქაური მიწები არ ირწყვიან, მაგრამ იმისთანა სიმინდი მოდის, რომ კაცზედ მაღალია. ვანათს ზოგიერთნი თუმცა მთას ეძახიან, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან მთა უწოდოთ, რადგანაც აქ ვენახი და, ესე გასინჯეთ, სამზღვარ-გარეთული ხილიც კი ჰხარობს, ჰავა აქ მშვენიერია: ზაფხულში დიდი სიცხეები არ იცის და ზამთარში დიდი სიცივეები. რასაკვირველია, ამისთანა ჰავა კარგად იმოქმედებს მცხოვრებთ ჯან-მრთელობაზედ, და მართლადაც კარგად მოქმედობს: აქაურები ძალიან მცირად ავად-მყოფობენ ადგილზედ დამოკიდებულ სნეულებითა, ხოლო გადამდები სენი კი ხშირია.

აქაურები არ ჩამოუვარდებიან თავის სამშობლოს კაცურის ღირსებითაც: მათი გულ-კეთილობა, სიმართლე, უმანკოება, შრომის-მოყვარეობა განთქმულია ლიახვის ხეობაზედ. აქაურების შრომის მოყვარეობა და მიწის სინოყიერე რომ მიიღოს კაცმა სახეში, ეგონება, რომ ესენი უნდა იყვნენ საკმაოდ მდიდარნი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სულ სხვასა ვხედავთ. აქ ძნელად იპოვება იმისთანა ოჯახი, რომელიც რიგიანად სცხოვრობდეს. მიზეზი ამისი გახლავთ მამულის ნაკლებობა. მიწის ნოყიერებამ რა ჰქმნას, როდესაც ზოგ სახლობას ერთი დღიური მიწა არც-კი აქვს? თუნდა ორი დღისაც ჰქონდეს, განა მითი შეიძლება სახლობის გამოკვება! მერმე იმ ნაირ მეურნეობის საშუალობით, რომელიც სუფევს ჩვენ საქართველოში. მათი სიღარიბე უფრო ცხადად წარმოგვიდგება თვალ-წინ, თუ სახეში მივიღებთ სხვა-და-სხვა გარემოებას, რომელიც აწვევთ კისერზედ, და ზოგიერთ ჩვეულობათა, მაგალითებრ, ადათს მიცვალებულზედ. ამათგანს თუ სახლობაში მოუკვდა ვინმე, თუნდა გროშიც არა ჰქონდეს, მაინც უნდა ისესხოს სადმე და იყიდოს ძროხა ანუ ხარი, ღვინო და გადუხადოს ქელეხი.

ერთხელ რომ ისდიდნენ ამისთანა ხარჯს კიდევ არა უშავს-რა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ ისდიან. რასაკვირველია, ამისთანა ჩვეულებათა გამო უიმისოდაც ღარიბი ხალხი უფრო ჰღარიბდება. ადგილობრივი მღვდელი ლ. ფ—ვი, ხედავს რა ამისთანა სიღარიბეს ხალხისას, ბევრს უქადაგებს, რომ ამისთანა უსარგებლო და უმნიშვნელო ჩვეულებას, როგორიც არის ქელეხის გადახდა, თავი დაანებონ, მაგრამ ვერა გააწყო-რა. ეს ჩვეულება ხალხს ისე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ თავს ვერ ანებებს.

გლეხ-კაცის ცხოვრების სახსარი მდგომარეობს მამულსა და საქონელში. მამული, როგორც ზემოდ ვსთქვით, ვანათში ცოტაა და ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთ კუჭის მოთხოვნილებას, ხოლო რაიცა შეეხება საქონელს, ეს იყო მათი უკანასკნელი საშუალება ცხოვრებისა, მაგრამ ამაშიაც უმტყუნაბედმა. როგორც სხვა-და-სხვა საქართველოს კუთხეებში, აქაც ამ უკანასკნელ ხანებში საქონლის ჭირი ძალიან მძვინვარებდა. ამ დაუნდობელმა მტერმა ბევრი საქონელი იმსხვერპლა და ბევრი ქვრივ-ობოლი აატირა.

ამითი საქმე არ გათავდა; როგორც რუსები ამბობენ: «Ѣдеть бѣда на бѣду, бѣда бѣду догоняетъ», სწორედ ესრედ მოუვიდათ ვანათლებს, საქონლის ჭირის მაგიერ მათ გამოუტყვრათ სხვა ჭირი—ჭირი ადამიანებისა. როგორი სნეულობა გნებავთ, რომ აქ არ სუფევდეს: წითელა, ყივანახველა, ჭვალი და მრავალნი სხვანი. ერთ სახლს ვერ იპოვნით იმისთანას, რომ ერთი-ორი ავადმყოფი არ იწვეს; ზოგან ოთხიც ნუ გიკვირთ. ერთ ქვრივ ქალს ჰყავს ოთხი შვილი და ოთხივენი ავად არიან. ორს მათგანს «ბატონები» (წითელა), როგორც აქაურები ეძახიან, გამოაჩნდათ, მესამეს ჭვალი, მეოთხეს რაღაც უცნაური სნეულება, რომელსაც თავი და ბოლო ვერ გაუგეს და ამის გამო მიზეზს აბრალებენ. ამ დღეებში აპირობენ სალოცავად წასვლას მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, რომლის სახელი წარმოსთქვა სიცხით გაბობოქრებულმა ავადმყოფმა და რომლის მიზეზიც გამოჰგვარეს დედაბერებმა. დიახ, მიზეზით არის ავად, მაგრამ რის მიზეზით. ამას, მგონი, ექიმი უფრო კარგად გაიგებდა, ვინემ დედაბერები თავიანთის ფთილებით. ხოლო რა ჰქმნას საწყალმა ქვრივმა დედაკაცმა, რითი მოიყვანოს ექიმი, როდესაც ჯიბეში არა უჩუყის-რა.

ეხლა ერთი ღა დამრჩა სათქმელად. ურიგო არ იქმნება, რომ ადგილობრივმა მთავრობამ მიაქციოს ყურადღება ამ სხვა-და-სხვა გვარ სნეულებას, რომელიც სუფევს ვანეთში, და მოაშველოს ექიმი და მით აცდინოს, თუ ბევრს არა, ცოტას მაინც უდროოდ წუთი-სოფლის გამოსალმება.

გ. ცხ—ძე

დამაკვირდი!

ჭკვიანი კაცი მალე წახდება, თუ ჭკუასთან ერთად სიმაგრე ხასიათისა არა აქვს: ვისაც დიოგენის ფარანი აქვს, იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს. (შამფორტი)

⁂

სულელი იმას იგვეხის, რაც არა აქვს და რასაც მის მეტი სხვა არავინ ჰხედავს. (დუსოლ)

⁂

ღომისა ტყავსა ჩაიცმენ—
გვაჩვენონ გულთა სრულობა;
ვერ ამამაცებს ჯაბანსა
გარეგან ჩასაცმულობა
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

კაცი პირს ჰხედავს კაცისას,
ღმერთი მწვლილის გულის სიტყვებსა;
ვერვინ დაჰფარავს საქმესა
ვინ იშვებს, ან ვინ იტყვებსა.
(არჩილ მეფე)

⁂

ერთისა წამისა გულის ნების პოვნისათვის საუკუნოსა აუგსა და მოყვნებასა ნუ ჩაიწერები.

(სარგისთმოგველი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბალკანის ნახევარ კუნძულზე ყველაზე შავი სვე-ბედი ორ წვრილ ეროვნობას, ბოსნელ-ჰერცოგოველებს, ხვედრათ ერგოთ. ერთს ვაის გაეყარნენ და მეორეს უარესს შაეყარნენ. ოსმალეთს როგორც იყო თავი დააღწიეს და ავსტრიას ხელში ჩაუცვივდნენ. ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა ვითომ დროებით დაიჭირა, მაგრამ ეხლა ისე მაგრა ჩასჭიდა კლანჭები, ხომ, მგონი, ეს «დროებითი» მუდმივად გარდიქცეს. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, ესეთი სვე-ბედი ხომ ბევრ პატარა, სუსტს ერსა ჰრგებია წილადა; ავსტრიელების საქციელი იმითია შემაძრწუნებელი, რომ საწყალ ბოსნიელ-ჰერცოგოველებს მოურიდებლად ექცევიან და არც მათს ეროვნულ გულის წადილს პატივს ჰსცემენ. აი გაზეთი «Свѣтъ»-ი რას ამბობს:

> ბოსნია-ჰერცოგოვინაში ავსტრიის მმართებლობა საზარელის ძალადობით და შემაძრწუნებელის შეურაცხყოფით მოქმედობსო. მანამ ბოსნია-ჰერცოგოვინა ოსმალეთის ხელში იყო, მთელი თავისი სასოება რუსეთზე ჰქონდა მინდობილი, თავის ხსნას რუსეთის ხელმწიფისაგან მოელოდა, რომელსაც თავის მფარველად და მხსნელად სთვლიდა. სალმთო წერილი და საეკკლესიო წიგნები რუსეთიდამ იგზავნებოდა, ამ წიგნებით ლოცულობდა ხალხი ეკკლესიებში. აგრეთვე ძნელად მოიპოვებოდა ბოსნია-ჰერცოგოვინაში სახლი ან სკოლა, რომ რუსეთის ხელმწიფის სურათი არა ყოფილიყო. ოსმალეთის მთავრობა ამ გვარ საქმეებში სრულიად არ ერეოდა და სრულ თავისუფლებას აძლევდა ხალხსა. განათლებული ავსტრიის მმართებლობა სულ სხვა აზრისა ყოფილა ამ საგნის შესახებ: სასტიკად ჰსდევნის რუსულ წიგნებსა. რუსეთისთვის ეს დიდი საწყენიაო, ამას ჩვენ ვერ მოვითმენთო. საქმე იმაშია,—რა საშუალება ვიხმაროთო? ნუ თუ ჩვენც სასტიკადა ვდევნოთ და ყველას ავუკრძალოთ რუსეთში, ავსტრიის ხელმწიფის ან პრინცების სურათები იქონიონო? არა, სჯობს ისევ ვენაში მოვაგონოთო, რომ ავსტრიის მმართებლობამ ზდილობიანობა მაინც არ დაივიწყოსო.

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ საქმეს სჩადის ის სახელმწიფო, რომლის დიპლომატია მუდმივ ერთგულობას და მეგობრობას უცხადებს რუსეთსა. საკვირველია ეს დიპლომატიური მეგობრული განწყობილება! მერე, —ავსტრიას რომ რუსეთის ცუდი უნდოდეს, საწყალი ბოსნი-ჰერცოგოვინა რა შუაშია?

⁂

ვის არ გაუგონია განთქმული და სახელოვანი ტრაგიკოსი როსსი? რომელ არტისტს არ აღუძრავს გულში პატიოსანს შურსა მისი დიდება და სახელი. მაგრამ ამ შემთხვევას კი, რომელიც ამ სახელოვან ტრაგიკოსს ჰქონია კიევში, მგონი არც ერთი სიკვდილის-შვილი არ ინატრებდა. აი რას მოგვითხრობს გაზეთ «Новости Дня»-ს ერთი თანამშრომელი:

> 1878 წელს კიევში მოიწვიეს თეატრში სათამაშოდ გამოჩენილი როსსი მთელის თავისის დასით. ვილაცამ სახელოვანი ტრაგიკოსი გამაცნო. ანტრაქტში გამოველაპარაკე და, ჩვეულებრივ, დიდი ქება შევასხი მის საკვირველ ნიჭსა. სახელოვანი ტრაგიკოსი წყალობით მისმენდა. ამ ლაპარაკში ვიყავით გართული, როცა უცბად თავს წამოგვადგა არტისტი გ., რომელიც აქაურ თეატრის დასს ეკუთვნოდა. მე შიშის ზარმა დამკრა: არტისტი გ. კარგა «გადაკრულში» ბრძანდებოდა.
>
> — ძმობილო, როსსის გამაცან!—მომიბრუნდა მე ბ-ნი გ.
>
> მე შევკრთი და ჩუმად ვეუბნები.
>
> — როგორ შეიძლება, ბატონო!.. მეც ეს არის ეხლა გავიცან.

დიპლომაციის მოედანზედ გამოსულმა, ველარ მოისვენა და პოლიტიკის მომდინარეობის მორევში ჩავარდნა კიდევ მოისურვა. ჯერ დეპუტატად ამოირჩიეს და შემდეგ სენატორად. 1878 წელსა იგი დანიშნეს «საჯარო სამუშაოთა» მინისტრად. 1883 წელს უცხოთა საქმის მინისტრად დაინიშნა, და წრეულს ხომ მთავარ-მინისტრის თანამდებობა უჭირავს. პროტესტანტს სარწმუნოებით, ფრიად პატიოსანს კერძო ცხოვრებაში, დე-ფრეისინეს, როგორც გრევის არ უყვარს «ხელ-ღია და კარ-ღია» ცხოვრება, თუმცა ამისთანა ცხოვრება, მის გვარისშვილობას დიდად შეეფერება, რადგანაც სახელი მისი ეკუთვნის საფრანგეთის გამოჩენილს აზნაურთა გვარს. მან არ ისურვა თავის ბინის გამოცვლა (მართლადაც კარგათ მოქცეულა, თორემ ამდენ გადაბარგებას ვინ გაუძლებდა) და ერთხელაც არ გადასულა სამინისტრო სადგომში. იგი სდგას ოსმანის ბულვარზედ, მეოთხე სართულში. ფრეისინე არის 60 წლისა, მაგრამ შეხედულობით უფრო მოხუცებულსა ჰგავს. მაღალი, გადაშლილი მელოტი შუბლი, გამხდარი სახე და უმტვერულ ქაღალდის ფერი წვერი თვალად უფრო აბერებს. მისი დაბალი ხმა შეუძლო მოხუცებულს მოგაგონებსთ, მაგრამ ერთი თუ აენთო ლაპარაკში, ყოველივე ეს სრულიად დაგავიწყდებათ, და გეგონებათ თქვენ წინ ახალგაზდა, მხნე, რკინის ხასიათის კაცი სდგასო.—

⁂

დიდი ხანი არ არის რაც მკითხველებთან მქონდა ბაასი ერთს უცნაურ კაცზე—ბავარიის მეფეზედ. ეხლაც სხვა ამ გვარს კაცზედ მინდა ლაპარაკი. ამ რამდენისამე ხნის წინად ინგლისში გარდაიცვალა ჰერცოლ პორტლენდი, რომელიც ბავარიის მეფეზედ უფრო უცნაური იყო. დიდი ხანია მას სჭირდა ფრიად ცუდი ავადმყოფობა—მიზანტროპია, ე. ი. კაცთა სიძულვილი. ჰერცოლი იქამდის მივიდა, რომ არ შეეძლო ადამიანის დანახვა, და ამისათვის, მან განიზრახა მიწის ქვეშ სრა-სასახლის აშენება, და კიდეც მოიყვანა შესრულებაში თვისი განზრახვა, რადგანაც უთვალავის ქონების პატრონი იყო,—მინამ სცოცხლობდა პორტლენდი, ადამიანს არავის უნახავს მისი ქვესკნელის სასახლე, და აწცა არავის უჩვენებენ, თუ არ ცნობილ პირსა. ამას წინად კოროლევას ვიქტორიას მეორე შვილი, პრინცი ლეოპოლდი ყოფილა იქ. პირველად დიდ გვაროვანმა სტუმარმა ნახა ქვესკნელის სურათების გალლერეია, უშველებელი დარბაზი, რომლის ჭერიც მხატვრობით წარმოადგენს ცას მზის ჩასვლის დროს. დარბაზი განათებულია ოთხის დიდის ხომლით, ხუთის «გაზის» მზით და ასამდე კედლების ლამპრებით, ასე რომ ორი ათასის სამთლის სინათლეა! დიდროვანი კარებები მთელის სარკისაგან არის გაკეთებული, და სიდიდით ქვეყანაზედ ტოლი არ მოეპოვებათ. ამ დარბაზის ოღენა, მეორე სართულში კიდევ ოთახია, მარანად მოწყობილი, სადაც ძვირფასი ღვინო ინახება. სასადილო ოთახში საჭმელები ქვესკნელის სამზარეულოდგან რკინის გზით ამოდიოდა თურმე, და ჰერცოლის ნიშნით მაშინებს ამოჰქონდათ საჭმელები რიგ-რიგზედ,—ასე რომ მოსამსახურე სრულიად საჭირო არ იყო. დარბაზის გვერდით გამართულია უშველებელი ბიბლიოთეკა; ამ ოთახს ჭერი ბალის მიწის თანასწორ აქვს, და სინათლე ჭერიდგან ჩამოდის. მახლობლად კარგა მოდიდო საყდარია. სასახლიდგან კარგა მოშორებით სდგას სარბიელი ცხენის საჭენებელი, რომელიც რვა ათასის გაზის სამთლით არის განათებული. ამის გვერდზედ 96 ცხენისთვის მშვენიერი თავლაა და ბოსელი ძროხებისთვის, რომლის შუაც რძის შადრევანი ამოდის. უშველებელი ბალი, და სხვა, ყოველი მორთულება სწორედ სამეფო სასახლისაა. ამ სასახლიდგან მეორე სასახლემდინ გზა მიდის ქვესკნელს, ოთხ ვერსამდინ; გზა ესე დღე და ღამ გაზით არის განათებული. ამ ქვესკნელის შენობებზედ, ჰერცოლ პორტლენდმა თურმე ორმოც და ათი მილიონი მანათი დახარჯა. ამდენი ფული იმიტომ ჩაჰყარა ქვესკნელს უცნაურმა კაცმა, რომ ადამიანის სახე არ დაინახოს! მრავალი გზები ჰქონდა გაკეთებული მიწის ქვეშ, და ამსახით ქვეითად და ცხენით ჰერცოლს შეეძლო სიარული, ისე რომ არავინ დაენახა. საყდარში ისე ჰქონდა ალაგი მოწყობილი, რომ პასტორს და მლოცველ მოსამსახურეებს ვერ ხედვიდა. როდესაც ჰერცოლი გარდიცვალა, ჯერ კიდევ ქვესკნელ სასახლეს რამდენიმე ათასი მუშა ადგა, რომელიც ძალიან ძვირად უჯდებოდა პატრონსა. ახალგაზდა მემკვიდრემ ჰერცოლისამ, შეაყენა ქვესკნელში მუშაობა, და სხვა მიწის ზევით სასახლეზედ დააყენა ეს მუშა, რადგანაც სასახლე იგი განსვენებულის ჰერცოლისგან თავ-დანებებული იყო და იქცეოდა. ამავე ბედს მოელის ქვესკნელის სასახლე; ხოლო ეხლა ბევრი ხელოვნებითი საუნჯე მზის შუქს მაინც დაინახამს. პორტლენდთა სურათების მდიდარს სალაროში მოიპოვება უპირველესთა ოსტატთა და მხატვართა ნაწარმოები, სახელდობრ: რაფიელისა, ვან-დიკისა, რემბრანტისა, ტიციანისა, რუბენსისა, და მებრევ სხვათა. ბიბლიოთეკაში თურმეა ძვირფასი ხელნაწერები, რომელიც ეკუთვნოდა კარლ II, კრომველს და ჰენრიხ VIII. იქნება ზოგიერთ მკითხველთ ეს ზღაპარი ეგონოსთ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან იგინი დავარწმუნოთ, რომ აქ აღწერილი ყველა მართალია. ინგლისელები ცოტასა სწერდნენ ამ ჰერცოლზედ, რადგანაც რცხვენოდათ, რომ მათ ეგრეთი უცნაური კაცი ჰყავანთად და ესრე უნაყოფოთ ფულებსა ჰყრიდა!... როგორაცა სჩანს ინგლისში «ბედოვლათობის აპეკა» არა ყოფილა!.. რასაკვირველია, თავისუფლება კარგი რამ არის, მაგრამ გიჟს რომ თავისუფლება მისცე რას არ ჩაიდენს!... განა ცოდნა რომ ამისთანა კაცებს ლაგამი ამოსდონ?!..

დონ ენ.

— მე ეგ ფეხზზე მკიდია!.. უთხარი, რომ მეც არტისტი ვარ, მეც მაგისავით ჰამლეტსა ვთამაშობ და ამიტომ მაგის გაცნობა და ხელის ჩამორთმევა მსურს.

შენ მტერს, რა მდგომარეობაშიც მე ჩავარდი: როსსის ჩვენი ლაპარაკისა არა ესმოდა რა და მხოლოდ განცვიფრებული გვიყურებდა. რა მექნა? უნდა გამეცნო. როსსიმ ხელი ჩამოართო თავის «მეგობარს».

— უთხარი, ეხლა მაკოცოს.

— გამშორდი, დაიკარგე!

— უთხარი-მეთქი!

მეტი ღონე არ იყო, ვუთხარი: როსსიმ აკოცა.

— უთხარი კიდევ, არა ცხრებოდა არტისტი, რომ მე მსურს მაგისგან რაიმე სახსოვარი ვიქონიო:

ღმერთო ჩემო! აქ კი ვეღარ მოვითმინე, სირცხვილით დავიწვი, უზრდელობა ჩავიდინე და მოვკურცხლე.

სჩანს, სახელოვან დიდებასაც, როგორც ვარდს, ეკლები ჰქონია და ეს ეკლები ხან-და-ხან მწვავნიც ყოფილან!

⁂

რუსეთში ორი დასია, რომელთა შორის ეს კარგა ხანია დიდი ბრძოლაა. ერთ დასს უწოდებენ «Самобытникъ»-ებს (ძველის მიმდევართ) მეორეს—«Западникъ»-ებს (ევროპიის მოყვარეთ). გაზეთ «Новости»-ში ერთი სასაცილო ანდაზა შეგვხვდა, რომელიც ორივე დასს ცხოველად გვიხატავს.

ევროპაში რომ ხელსახოცების პარგა მოდათ შემოვიდეს, მე დარწმუნებული ვარო, ამბობს «Самобытникъ»-ი, ჩვენი მოდის მიმყოლი, ქალი თუ ვაჟი, მაშინვე მიჰბაძავდა ამ მოდას, რადგანაც ევროპამ შემოიღო. ესეთი მაიმუნობა ძველ დროში ყოვლად შეუძლებელი იყოვო!

— ამიტომაც, დაუმატეთო,—უთხრა აქვე მყოფმა «Западникъ»-მა,—ჩვენი სახელოვანი ძველი დრო უხელსახოცოთაც იოლად მიდიოდაო და ცხვირს ძველებურად ხელით იხოცავდაო..

სახელდახელო

(ცხად-ალებული—წყალ-წაღებული ამბები)

სრული და სამართლიანი თავ-მოწონება სჭირს მონადირეს, რომელიც ისე რიგიანად ისვრის ისარს, რომ სასიკვდილოდ თუ არა,—მძიმედ მაინც დასჭრის ნიშანში ამოღებულს ნადირსა. მე შემიძლია ჩავთვალო თავის თავი ამ გვარ მონადირეთა შორის. ჩემ მიერ გატყორცნილმა ისარმა (იხ. № 51 «ივერიისა») არა თუ მიაგნო თავის მსხვერპლსა—ნამდვილი ალიაქოთი ასტეხა თურმე «თეატრის» საბალახანო გმირებში. აირ-დაირია ნოეს კიდობანი:

მოვიდა ჯოგი ნადირთა,
ანგარიშ-მიუწდომელი,
ირემი, თხა და კანჯარი,
ქურციკი მაღლა მხტომელი.

უსახელო, ლანძღვით ავსილმა წერილებმა იჩინეს თავი!.. რასაკვირველია, ჩვენთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა... ნათქვამია: «ბოსელში ისე ვერ შეხვალ, ავი სუნი არ გეცესო!»—ეს ძველი ჭეშმარიტება ამ შემთხვევაშიაც ჭეშმარიტებად დარჩა... მოულოდნელი მხოლოდ ის იყო ჩვენთვის, რომ ჩვენ არ გვეგონა თუ ასე მალე მოტყდებოდა, ანუ უკეთესია ვსთქვათ, მორჯულდებოდა ბ-ნი სოსლანი! თურმე ნუ იტყვით, ეს «დევ-გმირი»*), როგორც თვითონვე უწოდებს თავის თავს, ისე წყალ-წაღებული როდი ყოფილა, როგორც საზოგადოდ ჰფიქრობენ მასზე. მე თითქმის იმ აზრსაც ვადგივარ ეხლა, რომ თუ სრულიად მორჩენა არა, მისი უმკურნალო სენის შემსუბუქება მაინც უპასტეროდაც ადვილად შეიძლება**). რომ ეს ჩემი სიტყვები ვისმეს უსაფუძვლო რამეთ არ მოეჩვენოს, მე იძულებული ვარ მოვიყვანო აქ საბუთები, რომელნიც, ჩემის ფიქრით,ამტკიცებენ ამ ჩემს წინასწარმეტყველებას. «თეატრის» უკანასკნელ ნომერში ბ-ნმა დავით სოსლანმა დაჰბეჭდა რამოდენიმე თავისი კალმის ნაწარმოები, რომელიც თანასწორ ამტკიცებენ, როგორც მის გამჭრიახობას და მახვილ-გონიერებას, ისე მის გულ-წრფელობას და «დევ-გმირობას». ათ-ოც სტრიქონში «ხელ-შეკრულმა დევ-გმირმა» მოულოდნელად იმდენი სიმართლე წამოროხა სხვაზე და თავის-თავზე, რომ ეგრედ-წოდებულ თავისის «ლექციების» მაგიერ, ეს წერილები რომ წაიკითხოს ეხლა ქუთაისში,—ჰინჩრის გვირგვინის მაგიერ, საყოველთაო მოწონებას და ტაშის-კვრას დაიმსახურებს უეჭველად. ჩვენ კიდეც ვურჩევთ, რომ უსათუოდ წაიკითხოს, მაინც-და-მაინც წაიკითხოს, უსიკვდილოდ წაიკითხოს!.. ნუ იფიქრებს ოღონდ ბ-ნი სოსლანი, რომ ამ რჩევას მტრობით ვაძლევთ ჩვენ. მტრობაო?! ჩვენი მისდამი მტრობა? მეტად არ შემჰამოს მიწამ! პირ-იქით! მის უკანასკნელ პასუხისათვის «თეატრში» ჩვენ იმ გვარ სიყვარულს და ალტაცებას ვგრძნობთ მისდამი, რომ მზათა ვართ ვისრამიანის სიტყვით შევკივლოთ: «თუ შვიდნივე ცანი ქაღალდად მქონდეს, სრულად ვარსკვლავნი მწიგნობრად მყვეს, ღამისა ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქვიშათა და თევზთაებრ ხშირად სხდენ,—შენმან მზემან, ნახევარსა ვერცა მაშინ დავსწერ ქებასა შენსა, ჰოი, «დევ-გმირო» სოსლან!..

⁂

ამ თავაზიანის სიტყვების, ან და, როგორც იტყოდენ ტფილისის მანდილოსნები,—«კამპლიმენტების» შემდეგ, რომელნიც ბ-ნ სოსლანს სამართლიანად ეკუთვნიან და რომელშიაც—ეს ჩვენი სურვილია!—მას არ ვინ არ უნდა შეეცილოს, ჩვენ ჩამოუთვლით მკითხველებს იმ ჭეშმარიტებათაც, რომლითაც ისახელა თავი ბ-მა სოსლანმა ამ უკანასკნელ დღეებში, ვითარცა «დევ-გმირმა».

ეს ჭეშმარიტებანი, როგორც ზემოთ ვსთქვით განიყოფებიან ორ-ნაწილად: ზოგი მათგანი ეხება სხვებს, ზოგი კი საკუთრივ ბ-ნ სოსლანს... დავიწყოთ მაშ თავიდამ:

პირველი ჭეშმარიტება.

ბ-ნი სოსლანი გვაუწყებს, რომ «ივერიის» გავლენამ მკითხველ საზოგადოებაზე იქამდის მიაღწია, რომ მისი, ბ-ნი სოსლანის, ნაცნობი კნეინებიც კი, ვიღაც «მაიორშა» ნენე და ელისაბედი, ლაპარაკში სხვა-და-სხვა მწერლების აფორიზმებს იმეორებენო!.. მკითხველმა, რასაკვირველია, იცის, ვინ არის ბ-ნი სოსლანი და მაშასადამე შეუძლია წარმოიდგინოს, რა უნდა იყვნენ მისი ნაცნობნი, ძალისამებრ ფრანგთა ანდაზისა: «მითხარ, ვის იცნობ და გეტყვი ვინა ხარო». თუ ამათზედაც კი იქონია გავლენა «ივერიამ», რაღა თქმა უნდა, სხვებზე, რომელნიც უფრო ჭკვიანნი არიან და რომელთაც უფრო ჭკვიან პირებთან აქვსთ ცნობა, კიდევ უფრო მეტს გავლენას იქონიებდა. ეს ყოველისფერი ჩვენთვის, რასაკვირველია, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, მით უფრო რომ გვესმის ბ-ნ სოსლანისაგან, რომელიც ასეთი კეთილის მოსურნეა «ივერიისა...» და მის შესახებ ყურები ბამბით გამოტენილი აქვს... საუბედუროდ, «კომპლიმენტისათვის» «კომპლიმენტის» მიძღვნა არ შეგვიძლია. ჩვენ ნაცნობებში სრულიად არ ურევიან ისეთი პირნი, რომელთაც ემახსოვრებოდნენ ბ-ნის სოსლანის «აზრები» და «მოსწრებული სიტყვები»... მე ასე ვფიქრობ, რომ აქ შეთქმულობა უნდა იყოს საზოგადოების მხრით «დევ-გმირის» წინააღმდეგ*)... ყოველ-შემთხვევაში, ეს ისეთივე გასაოცარი რამ არის, როგორც ბ-ნი დავით სოსლანის სიძულვილი სხვა-და-სხვა «ივერიისაგან» შეყვარებულ ევროპის ბრძენთა მიმართ... ერთად ერთი მისი გამართლება ამ შემთხვევაში ის არის, რომ შინაური ე. ი. «თეატრის» ფილოსოფოსების სიმრავლე უსარგებლოდ ხდის მისთვის ევროპის ბრძენებს. ამას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ბ-ნი სოსლანი, რაკი მისთვის მეტად ცნობილ საგანზე, ჩამოაგდებს ბაასს, მაგალითად: «ცრუ-პენტელა გმირების ბაქიობაზე» და «ტყუილს ყოყოჩობაზე»—ყოველთვის ერთ-გვარს წყაროს ეწაფება და იქიდამ ამოსრუტავს ხოლმე სიბრძნესა. იგი წყარო ვოდევილებია და განსაკუთრებით ის ერთი ვოდევილი, საცა, როგორც თვითონვე ბრძანებს, «ჩვენი ნიჭიერი არტისტი-ქალი საფაროვისა ისე ხელოვნურად ჰხატავს ცალკე ოთახში მომწყვდეულს ახალგაზდა ქალს, რომელსაც ფანჯრიდამ ყაჩაღები უცვივიან...» (იხ. «თეატრი», № 10).

დასასრული პირველის ჭეშმარიტებისა.

აქედამ ცხადია, რომ «თეატრის» «დევ-გმირის» ხელში, «პოლემიკა ყოველთვის ლახტი იქნება, ხოლო მის მოპირდაპირეთა ხელში კი—უხეირო ჩოგანი»... როგორც თვითონ ბ-ნი სოსლანი თვისდა ბუნებისამებრ მორცხობით და თავ-მდაბლობით აღიარებს და გვეფიცება. მახლას, თავ-გასულობავ! მართლა რომ «დევ-გმირია»! აბა სხვა გვიჩვენეთ ქვეყნიერობაზედ ამისთანა გამბედავი ბაქია!

მეორე ჭეშმარიტება.

«ივერიის» «ნაკვესმა» და «დამაკვირდიმ», ბრძანებს ბ-ნი დ. სოსლანი, დაჰბადა ჩვენში რაღაც სულელური ტაკი მასხრობა და მაიმუნობაო. (იხ. «თეატრა» № 10).

სრული, ნამდვილი, შეურყეველი ჭეშმარიტებაა!.. სწორედ იმ დღიდამ, რაც გამოვიდა «ივერია» ეგ «სულელური ტაკი-მასხრობა და მაიმუნობა» პირველი ბ-ნმა სოსლანმა დაიწყო «თეატრში». სწორედ ამ მარად სახსოვარ დღიდამ ბ-ნის სოსლანის «დამაკვირდიმ» და სხვა «ჩიტთა-ჩიორათა» ენა მახვილობამ შეასხა ფრთები გამოჩენილ «ლედახტორის» სამასხარო გაზეთს.

მეტის-მეტ თავაზიანად გვაძლევს ბ-ნი სოსლანი იარაღს ხელში მისდა საწინააღმდეგოდ—დევ-გმირობა მაშ რა არის?!—მაგრამ... მაგრამ, რასაკვირველია, მიუხედველად ამისა ჩვენ მაინც აღვიარებთ, რომ «მის ხელში პოლემიკა ყოველთვის ლახტი იქნება და სხვისაში კი—უხეირო ჩოგანი»... გვეფიცება და ნუ თუ ერთხელ მაინც არ დაიჯერებს მკითხველი!

მესამე ჭეშმარიტება.

«მოლა ბაშირი—განაგრძობს ბ-ნი სოსლანი,—«ჭკვიანი კაცია და წყლიანი მწერალიო»,—პირველიც და მეორეც ნამდვილი ჭეშმარიტებაა! საუბედუროდ, ვერც მე და—მე დარწმუნებული ვარ,—ვერც მოლა ბაშირი «ჭკვიან და წყლიან მწერლათ» ვერ აღვიარებთ თვით ბ-ნ სოსლანს. მაგრამ ბ-ნი სოსლანი ნუ შეწუხდება ამისათვის! მაგისთანა «დევ-გმირს», როგორც კდემით მოსილი ბ-ნი სოსლანი თავის თავს ეთავაზება, შეუძლიან ინუგეშოს თავი მით, რომ როგორც ჰხედავს ამ «მესამე ჭეშმარიტებიდამაც», «მის ხელში პოლემიკა ყოველთვის ლახტი იქნება და სხვისაში კი—უხეირო ჩოგანი...» ამის მოწმობას ჯერ ხომ საქებურის რიდით და კრძალვით თვითონ დ. სოსლანი აძლევს თავის თავს მერე ბ-ნი «რედაქტორი» «თეატრისა» უარს არ ეტყვის და ვგონებთ არც ბ-ნი კავთელი, ეგ «ჯანყ-ბურუს» მოცული კრიტიკოსიც, აუხირდება. ნუ თუ ამ სამთა ტოლთა და სწორთა «დევ-გმირთა» მოწმობა ქვეყნის წინაშე არაფერია!..

მეოთხე ჭეშმარიტება.

სანამ ვაუწყებდე მკითხველს ამ მეოთხე ჭეშმარიტებას, არ შემიძლია სიამოვნებით არ ვაცნობო, რომ ბ-მა სოსლანმა ლექსი მომიძღვნა მე. ლექსი, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, ვერაფერი შვილია და არა თუ არ განირჩევა იმ ლექსებიდამ, რომელსაც აცხობენ «თეატრის» «სარკმელ ქვეშ მდგომნი» პოეტები*), ბევრითაც არ ჩამოუდგება უკან. მაგრამ საქმე ლექსში ხომ არ არის,—არა, საქმე ბ-ნის სოსლანის თავაზიანობაა!.. ეს თავაზიანობა იქამდის მიდის, რომ ბ-ნი სოსლანი ამ ლექსის «ნამდვილ» ავტორის სახელსაც კი გვაუწყებს. ეს «ნამდვილი» ავტორი «ტილიპუჭურა» ჰყოფილა და «ნამდვილთან სწორი» კი «დავით სოსლანი»!.. ერთის სიტყვით, ბ-ნი დავით სოსლანი და ტილიპუჭურა, ტილიპუჭურა და დავით სოსლანი,—ორივე ერთნი ჰყოფილან!.. თუ «დევ-გმირობას» ვუჯერებთ, საბუთი არა გვაქვს ესეც არ დავუჯეროთ იმისთანა კაცს, როგორიც დ. სოსლანია. ჩვენცა გვჯერა და აღვიარებთ, მაგრამ ვკვირობთ კი, რისთვის იწუხებდა თავს და ბეჭდვით ამტკიცებდა ბ-ნი სოსლანი იმას, რაც უმისოდაც ცხადი იყო ყველასათვის? ჩვენცდა არა თუ თანახმა ვართ,—აღუკრძალავთ კიდეც ასოთ-ამწყობს, რომელიც ამდენის აჩირებულ შენიშვნებით ამკობს ჩვენს «სახელდახელოს», ამ შემთხვევაში გამოესარჩლოს ბ-ს სოსლანს*) და ქებული ლახტი ჰკუის გრდემლზედ ხელ-ახლად მოუჭედოს და არა თუ წინააღმდეგობა, ჩვენ ვითხოვთ მისგან აგრედვე როგორც ყველა ჩვენ მკითხველთაგან, ჩვენთან ერთად აღიარონ, რომ ბ-ნ დავით სოსლანის ხელში «პოლემიკა ყოველთვის ლახტი იქნება და სხვისაში კი—უხეირო ჩოგანი!.. ახლა ახირდებით და არ დაიჯერებთ, რომ ბ-ნი სოსლანი «ნამდვილთან სწორია».

მეხუთე ჭეშმარიტება.

ეს უკანასკნელი ჭეშმარიტება იმ გვარია, რომ ბ-ნ დ. სოსლანს თვითონ რომ არ წარმოეთქვა იგი საქვეყნოდ**), ჩვენ—შურით რასაკვირველია—ამ უებრო სიმაღლეზედ დ. სოსლანს თავის დღეში არ დავაყენებდით, საქმე იმაშია, რომ ბ-ნი სოსლანი თავის თავს ძალლად უხატავს «თეატრის» მკითხველებს... მე, ბრძანებს «დევ-გმირი», «ბოხუერა ძაღლი» გახლავარ და სახელად «ტოტია» მქვიაო... რად შეწუხებულა, განა ამ დიდს სახელს ეცილებოდა ვინმე! გვიკვირს... ხოლო რომ უფრო კარგად გაგვაცნოს თავის თავი, თავისებურ ჰირვეულობით განაგრძობს

«ავი რამ იყო ტოტია,
«ბოხურა ძაღლი ავყია»-ო...

სიდამაც ნათლად სჩანს, რომ «ავყიაობაც» სასიქადულო თვისებათ უნდა ჩაითვალოს... ჩვენ ისეთ ნაირად გაგვაკვირვა ამ გვარმა ახირებულმა თავის ქებამ, რომ არა გვჯეროდა «ბოხურა ძაღლის» და ბ-ნი სოსლანის გათანასწორობა და წერილით მივმართეთ ერთ «თეატრის» «სარკმელ ქვეშ მდგომ» პოეტს, აეხსნა ჩვენთვის ვინ არის ეს «ბოხურა ძაღლი ტოტია?»

პატივცემულმა პოეტმა დაწვრილებით გვაცნობა ყოველივე გარემოება საქმისა, მაგრამ, საუბედუროდ, ლექსით, რის გამო ჩვენ არ მოგვყავს აქ წერილი მკითხველების სავაგლახოდ... ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი საეჭვო მართალი გამოდგა: ბ-ნი სოსლანი და „ბოხურა ძ... ტოტია“—სწორედ ერთი და იგივენი ჰყოფილან, რასაც ჩვენ წრფელის გულით ვულოცავთ ბ-ნ სოსლანს· არა თუ ვულოცავთ, კიდეც გვრწამს და ვაღიარებთ, რომ მისს ხელში „პოლემიკა ყოველთვის ლახტი იქნება და სხვისაში კი—უხეირო ჩოგანი“,—დიახ,—„უხეირო ჩოგანი!“—მეტი არაფერი...

ილ. ხონელი

---

*) ბარაქალა ბ-ნს დ. სოსლანს რომ ესეთის მორცხობით იქცევა და ტყუილ-უბრალო ბაქიაობას არა კადრულობს.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

**) საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ აქ, რომ ეს ბ-ნის ხონელის აზრია. ჩვენ კი ამ შემთხვევაში სულ სხვა რწმუნებას ვადგვართ.

შენიშვნა იმავე ასოთ-ამწყობისა.

*) ეს აზრი ტყუილია! ბ-ნის დავით სოსლანის სიტყვები ხან-და-ხან დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ბაზაზხანაში, მაგრამ იქაც მანამ ახსენებენ, ჯერ ბოდიშს იხდიან.

შენიშვნა იმავე ასოთ-ამწყობისა.

*) დიდება შენდა ღმერთო! არ ჩააყინდა ეს კაცი ამ «სარკმელ ქვეშ მდგომ» პოეტებს?! რას ერჩის? რა დავა აქვს მათთან? მე ვფიქრობ, რომ შურია აქ თავი და თავი მიზეზი!..

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

*) ძალიან უაცრავად ბრძანდებით! ალგვიკრძალავთ, თუ ნებას გვაძლევთ — ჩვენთვის სულ ერთია, ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ვინა სჯობია ორში,—ნამდვილი ტილიპუჭურა, თუ მასთან «სწორი კოპიო» დ. სოსლანი ეს ჯერ კიდევ «ჯანყითა და ბურუსითაა გარემოცული»?! ყოველ შემთხვევაში, სანამ ბ-ნი რედაქტორი «თეატრისა» დასწერდეს ამ „შინაურს“ საგანზე ახალ თხზულებას, ბ-ნი სოსლანისაგან თავისი თავის გათანასწორება ტილიპუჭურასთან—მეტის-მეტი კადნიერებაა!.. არ მომწონს ასეთი მაღლა ახტომა დ. სოსლანისა: დევ-გმირობა მისი კიდევ დასაჯერია, ხოლო ეს კი მეტის-მეტი ბაქიაობაა...

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

**) გაზეთს „თეატრში“ № 10, გვერდი 99 სიტყვა-სიტყვით ასე სწერია: „ტილიპუჭურა, ნამდვილთან სწორია დავით სოსლანი“.

უცხოეთი

ბოლგარია. აღმოსავლეთ-რუმელიაში ხალხი ძალიან აღელვებულია. პირველი მინისტრი კარაველოვი ურჩევს მთავარს, არაფერი არ დაუთმოს ხალხსაო, თორემ სამსახურს თავს დავანებებო. გაზეთების სიტყვით, რუმელიაში ძალიან გაჭირვებული მდგომარეობაა.

ვიდდინში რომ სან-სტეფანოს პირ-შეკრულობის დღეობას დღესასწაულობდნენ, დეპეშა გვაუწყებდა, რომ ძალიან მხიარულად იყო ხალხიო. ეს ამბავი 4 მარტს იყო. 7 მარტს კი იწერებიან, რომ საქმე ძალიან გაჭირდა რუმელიაშიო. თვით დღესასწაულობის დროს ბოლგარები ძალიან დაღონებულნი იყვნენო და თითქმის არავის მხიარულება არ ეტყობოდაო.

მთავრის ალექსანდრეს ჭირვეულობის მიზეზი, რომ ხელს არ აწერს მორიგებასა, უთუოდ ინგლისის საქმეაო. ინგლისში, რასაკვირველია, გლადსტონი არ შეუწყობდა ხელს ბოლგარიის მთავრის ჭირვეულობას. მთავარს ეხმარება თავისი ძმა პრინცი მატენბერგისაო, რომელიც სიძეა დედოფლის ვიქტორიისაო. ამ ჭირვეულობას ის მოჰყვა, რომ დღეს ოსმალეთმა თავის ჯარები ისევ აღმოსავლეთ-რუმელიის საზღვრებისკენ გადმოიყვანაო.

საბერძნეთი. ვგონებთ ისე არა გაახარებდა-რა საბერძნეთს, როგორც მთავარის ალექსანდრეს ქცევა. ათინაში ყველა დამშვიდდა, თითქმის ომის მზადებას თავი დაანებეს, რაკი ოსმალოთ-მორიგების საქმე თავდებოდა მშვიდობიანად. ახლა-კი, გაიგო თუ არა საბერძნეთმა, რომ ღრუბლები აირიაო, ისევ დაიწყო მზადება ომისათვის. თუ ოსმალეთს თვისი ჯარები რუმელიისკენ მოჰყავს, საბერძნეთი ჩრდილო-საზღვრებს უახლოვებს თავის მხედრობას. ბრძანება გაუცია საბერძნეთის მმართებლობას, მოწოდებულ იქმნას ჯარის კაცნი მეორისა და მესამის ჰასაკისანიო. ისე რომ ახლა საბერძნეთს თოფ-ქვეშ ასი ათასი მხედარი ეყოლება და ასეთი ლაშქარი ხუმრობა არ არისო. საბერძნეთი მით უმეტესს მხიარულია, რომ დიდნი სახელმწიფონი ერთ-სულად და ერთ-გულად ვერ ატანენ ძალას, ომის ყაინი ნუ აგიშლიაო. იმ ხომალდებიდამ, რომელნიც იდგნენ საბერძნეთის წყლებში ორის დიდის სახელმწიფოს ხომალდი კიდეც წასულა თავის-გზით და მაშასადამე უარი უთქვამს სხვა ხომალდებთან ერთად საბერძნეთის წინააღმდეგ მოქმედებაზე. საბერძნეთი სიზმარში ვერ მოიფიქრებდა, თუ მისთვის ასე სასიამოვნოდ მოეწყობოდა საქმე. ვგონებთ, ახლა დელიანუსი გულში სულ ალექსანდრე მთავრის მზესა ჰფიცავს.

ამ დღეებში დიდი სამხედრო კრება შესდგება სათათბიროთაო. კრებას დაესწრობიან ყველა რაზმთა უფროსნიო.

ოსმალეთი. თუ საქმე უჭირს ვისმე დღეს ევროპაში, ისევ ოსმალეთს უფრო უჭირს. სხვა ნაირად დატრიალებულმა საქმემ ბოლგარებთან მორიგებისამ, ოსმალეთი ძალიან ჩააფიქრა. ბევრი წვრილმანი ერნი აუყაყანა ოსმალეთს ამ გარემოებამ. ალბანიაში მოძრაობა მძლიერდებაო. მირიდიტები ეწინააღმდეგებიან მთავრობასაო. საბერძნეთის ჭორვეულობა უფრო ხელს უმართავს ყველას, ვისაც რაიმე ძველი ანგარიში აქვს ოსმალეთთან. ოსმალეთს თავ-გზა დაუბნია კიდევ იმ გარემოებამ, რომ ინგლისი სხვა დიდთა სახელმწიფოებთან ერთად არა ფიქრობს წინააღმდეგობა გაუწიოს საბერძნეთს.

ყველა ამას დაუმატეთ ოსმალეთის ხაზინის მდგომარეობა და ცხადად დაინახავთ, რა ყოფაში უნდა იყოს დღეს ოსმალეთი. ოსმალეთის ხაზინაში ფული ძალიან ცოტააო. მაშველი ჯარი, მოწოდებული ამ უკანასკნელს დროს ხონთქარის ბრძანებით... მთავრობა ცდილობდა ამ ბოლოს დროს ფული ესესხნა სადმე...

გომარტ-ფაშა, ეს საუკეთესო ადმირალი ოსმალეთისა, ძალიან ავად გამხდარა, ექიმებს უთქვამთ, რომ არავითარი იმედი არა გვაქვს, რომ მორჩესო.

დეპეშა

13 მარტს

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრის გარდაწყვეტილებისამებრ, გუშინ შესდგა კრება სახელმწიფო რკინის გზების წარმომადგენელთა და ექიმთა. კრების თავჯდომარედ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრი, გენერალი ბოდანოვიჩი. კრებაში მონაწილეობა მიიღეს ბევრმა პროფესორებმა. მათ შორის ტრაპპმა, მონასეინმა და დობროსლავინმა. დობროსლავინი ერთ-ხმად აირჩიეს თავს-მჯდომარის ამხანაგად. გენერალმა ბოდანოვიჩმა წარმოსთქვა სიტყვა და ახსნა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს რიგიანს სანიტრულს ვითარებას რკინის გზებზე. კრება ათს დღეს გასტანსო.

ოდესსა. ვენის ფირმის «ლინდგეიმ და კომ.» წარმომადგენელი ცვიკლიცი მოჰრიგებია ავსტრიის საზოგადოებას რუსეთის ნავთის გადატანის თაობაზე ვენაში. ეხლა ცვიკლიცს გაუთავებია მოლაპარაკება „რუსეთის სანავოსნო საზოგადოებასთან“, რომელმაც ბათუმიდამ დუნაიმდე უნდა გადაზიდოს ხოლმე ნავთი თავის ხომალდებით. ხოლო ხომალდები ისე უნდა მოაწყოს რომ ცალკე ჭურჭელი არ იყოს საჭირო ნავთის გადაზიდვისათვის და შიგ ხომალდშივე ისხმოდეს ნავთი.

ხარკოვი. ზაფხულში აქ პირუტყვთა გამოფენაა დანიშნულიო.

ათინა. განზრახვა აქვთ, მაშველ ჯარის კაცთ მოუწოდონ, რადგან ოსმალეთსა და ბოლგარიის — შორის საქმე აიწეწაო.

ბელგრადი. სამინისტროს გაჭირვებული მდგომარეობა ჯერ არ გათავებულა: გარაშანინი თავისას არ იშლის და თხოულობს, რომ სამსახურიდამ დაითხოვონ; ახალის სამინისტროს შედგენა-კი ძნელიაო.

სტამბოლი. იტალია სთხოვს ოსმალეთს, ასე შეასწოროს ოსმალ-ბოლგართ მორიგების ქაღალდიო: აღმოსავლეთ-რუმელიის გენერალ-გუბერნატორობა ჩაჰბარდება ბოლგარიის მმართველის მთავარსაო.

ლიუტტიხი. სამოქალაქო ყარაული თოფ-ქვეშ სდგას, ჯარი გაამლიერეს; ანარქისტები ცხადად ჰქადაგობენ ცარცვა-რბევას: ქალაქის მიდამოში შიშიანობა არისო.

14 მარტს

პეტერბურგი. სმოლენსკის გუბერნატორი კაველინი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ ავად-მყოფობის გამო. დაინიშნენ: კომანდირი გრენადერის კორპუსისა განეცკი მეორე ვილნის ოლქის ჯარების უფროსათ; კომანდირი მეცხრე საარმიო კორპუსისა სტალიპინი გრენადერის კორპუსის კომანდირათ და კავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსი ფრიდე მეცხრე საარმიო კორპუსის კომანდირათ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,
ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

15 დღე შაბათი. წმ. მოწ. აღაპისი და ექვსთა მოწამეთა სომ. წმ. იოანე იერუსალიმელ. მამა მთავართა სომეხთა: იოანე, ობნელ, იოანე ვოროტნელ, გრიგოლ ტათეველ. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—25 ტფილისში მზე ამოდის 5—51. ჩადის 6—21. მთვარე ამოდის 1—56. ნღ. ჩადის 10—43.

16 დღე კვირა. წმ. მოწ. საბიანესი. კათ. კვირიაკისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—7. ტფილისში მზე ამოდის 5—50; ჩადის 6—22. მთვარე ამოდის 1—51 ნღ. ჩადის 11—32.

17 დღე ორშაბათი. ღირსისა ალექსი კაცისა ღმრთისა. კათ. გერტრუდასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—48 ტფილისში მზე ამოდის 5—48. ჩადის 6—23. მთვარე ამოდის 2—35 ნღ. ჩადის 12—26.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი

ქ. ქუთაისს
დუბლაკის და კ° კირის ქარხანაში
იყიდება საუკეთესო კირი
ამ ფასად:

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელის კირისა . . . . . 75 მ.
1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელისვე კირისა ვაგონში დაყრებით 78 მ.

მსყიდველების თხოვნისამებრ ამ ფასად კირი შეიძლება გაიგზავნოს ვაგონებით ქ. ტფილისს, ბათუმს, ფოთს და ამიერ-კავკასიის რკინის-გზის ყველა სტანციებზე. გადასატანი ფასი მსყიდველმა რკინის-გზის მაზანდის მიხედულობით უნდა გამოგზავნოს.

ბათუმში კირის გასყიდვის აგენტად არის ბ-ნი ნ. შადინოვი; იქვე არის კირის საწყობი. (12—7)

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

„ივერია“

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და ბრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს. პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 14 марта, 1886 г.
ექ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში.
რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.